ბრძანება N 25873

26/07/2019

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა შეფასების მიზნით შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 3 აპრილის №9159 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა შეფასების მიზნით შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 3 აპრილის №9159 ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) „სსიპ შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების კომისიის დებულება“ (დანართი №5).“.

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა შეფასების მიზნით შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 3 აპრილის №9159 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლის შეფასების წესისა და პირობების“ (დანართი №1):

ა) მე-12 მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ თანამშრომელი არ ეთანხმება საბოლოო შეფასების შედეგს, მას უფლება აქვს, წერილობით მიმართოს შეფასების შედეგების გასაჩივრების კომისიას (შემდგომში - კომისია) და მოითხოვოს დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრების ხელმეორედ ჩატარება.“;

ა.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კომისიის შემადგენლობაში შედიან სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის კურატორი მოადგილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი (გარდა ამ მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა).“;

ა.გ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი წარდგენილი იქნა ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ, კომისიის შემადგენლობაში შედიან სამსახურის უფროსი და სამსახურის უფროსის კურატორი მოადგილე.“;

ბ) მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეფასების შედეგები კონფიდენციალურია. თანამშრომლის შეფასების შედეგებზე წვდომა გააჩნიათ მხოლოდ სამსახურის უფროსს, სამსახურის უფროსის კურატორ მოადგილეს, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს, უშუალო ხელმძღვანელს, დეპარტამენტის უფროსს (მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებთან მიმართებაში) და შეფასებულ თანამშრომელს.“.

3. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა შეფასების მიზნით შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 3 აპრილის №9159 ბრძანებას დაემატოს დანართი №5 თანდართული რედაქციით.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ვახტანგ ლაშქარაძე

სამსახურის უფროსი